რეკომენდაციები სადავო გადახდებთან დაკავშირებით

საერთაშორისო საგადამხდელო სისტემიდან ბანკში შესაძლოა დაფიქსირდეს საბარათე ტრანზაქციებთან დაკავშირებული დავები და უთანხმოებები. მომხმარებელი არ ეთანხმება მისი ბარათით შესრულებულ ტრანზაქციას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი. კომპანიამ საჭიროა/ვალდებულია წარმოადგინოს გაპროტესტებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რათა ბანკმა დაიცვას კომპანიის ინტერესები საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ორგანიზაცია ვალდებული გახდეს საკუთარი სახსრებით აანაზღაუროს გაპროტესტებული თანხა.

გიზიარებთ რეკომენდაციებს, რომლებიც თქვენს კომპანიას დაეხმარება მსგავს შემთხვევებში ეფექტურად მართოს გადახდებთან დაკავშირებული ინციდენტები, რაც შესაძლოა ახლდეს:

- ელექტრონული კომერციით სარგებლობას
- პრეავტორიზაციით (თანხის წინასწარ დაჯავშნა) შესრულებული ოპერაციებს

- თქვენ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია რეკომენდირებულია იყოს ინგლისურ ენაზე ან თან ახლდეს ინგლისური თარგმანი
- მომხმარებლებთან კომუნიკაცია უნდა აწარმოოთ ელფოსტით და არა სატელეფონო ზარით
- ასევე, მომხმარებლებთან შესაძლოა შეათანხმოთ პირობა სხვადასხვა დოკუმენტზე – ინვოისზე, ხელშეკრულებაზე, ქვითარზე და ა.შ ხელმოწერით, გადახდაც უნდა შესრულდეს დოკუმენტზე შეთანხმებული პირობით
- გადახდისას თანხის ჩამოჭრა ან/და დაბრუნება უნდა მოხდეს თქვენს ვებგვერდზე განთავსებული წესებისა და პირობების მიხედით
- სერვისის ან პროდუქტის ჩაბარებისას/გაცემისას მიმღებთან გააფორმეთ მიღება-ჩაბარების აქტი
- პრეავტორიზაციით (თანხის წინასწარ დაჯავშნა) გადახდის ოპერაციის შესრულებისას მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნეთ ინვოისი (ან/და ნებისმიერი დოკუმენტი), რომლითაც დასტურდება თანხის დაჯავშნის და მომსახურების შესახებ დეტალები
- გადახდის თარიღიდან მინიმუმ 1 წლის განმავლობაში შეინახეთ ყველა დოკუმენტი/კორესპონდენცია, რაც დაკავშირებული პრეავტორიზაციით გადახდასთან.

***

გაითვალისწინეთ, ქვემოთ წარმოდგენილი რჩევები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და არ არის სრული გარანტი იმისა, რომ დავა გადაწყდება კომპანიის სასარგებლოდ

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: (032) 2 444 401